მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია

სურსათის (სასურსათო) დანამატების ონლაინ შეძენისას

დღეს სასურსათო დანამატების შეძენა სულ უფრო ხშირად ხდება ონლაინ — ვებგვერდების, სოციალური ქსელებისა და უცხოური პლატფორმების საშუალებით. ონლაინ ვაჭრობა მოსახერხებელია, თუმცა, უსაფრთხო არჩევანის გაკეთება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო მომხმარებლებს მოუწოდებს, სურსათის (სასურსათო) დანამატების შეძენისას ყურადღება მიაქციონ პროდუქტის წარმომავლობას, ეტიკეტს და რეალიზაციის პირობებს.

რა არის სურსათის (სასურსათო) დანამატი?

სურსათის (სასურსათო) დანამატი – სასურსათო პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია ნორმალური კვების რაციონის შესავსებად და წარმოადგენს საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების), კვებითი ან ფიზიოლოგიური ეფექტის მქონე სხვა ნივთიერებების კონცენტრირებულ წყაროს, ცალკე ან კომბინირებული სახით.
იგი ბაზარზე განთავსებულია დოზირებული ფორმით:

- კაფსულები;
- ტაბლეტები;
- აბები;
- პასტილები;
- ფხვნილები;
- სითხეები;
- ამპულები;
- წვეთები და სხვა მსგავსი ფორმები.

მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ სურსათის დანამატი:

- ✓ არ არის სამკურნალო საშუალებება (ფარმაცევტული პროდუქტი);
- ✓ არ არის განკუთვნილი დაავადების მკურნალობის ან პრევენციისთვის;
- ✓ არ ცვლის სრულფასოვან და მრავალფეროვან კვებას.

რას უნდა მიაქციოთ ყურადღება ონლაინ შეძენისას?

✓ **გადაამოწმეთ, არის თუ არა პროდუქტი სააგენტოს რეესტრში**

სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულია იმ სასურსათო დანამატების რეესტრი, რომლებზეც სააგენტოში წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეესტრის გადამოწმება უცხოური პლატფორმებიდან ან სოციალური ქსელების საშუალებით შეძენისას.

რეესტრი ხელმისაწვდომია: https://nfa.gov.ge/Ge/Page/sasursato%20danamatebi

✓ **შეამოწმეთ გამყიდველი და ვებგვერდი**

პროდუქტი შეიძინეთ მხოლოდ სანდო და იდენტიფიცირებადი გამყიდველისგან.
ვებგვერდზე მითითებული უნდა იყოს:

- კომპანიის ან მეწარმის დასახელება;
- საკონტაქტო ინფორმაცია;
- იურიდიული მისამართი;
- დაბრუნებისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის პირობები.

თუ პროდუქტის წარმომავლობა ან გამყიდველი უცნობია, იზრდება ყალბი ან შეუსაბამო პროდუქტის მიღების რისკი.

✓ **ყურადღებით წაიკითხეთ პროდუქტის აღწერა**

ონლაინ განთავსებული ინფორმაცია სრულყოფილი და მკაფიო უნდა იყოს.

აუცილებლად გადაამოწმეთ:

- პროდუქტის სრული დასახელება;
- შემადგენლობა/ინგრედიენტები;
- რეკომენდებული დღიური დოზა;
- გაფრთხილებები;
- ვარგისიანობის ვადა;
- მწარმოებელი ქვეყანა;
- შენახვის პირობები.

თუ აღნიშნული ინფორმაცია მითითებული არ არის, სასურველია თავი შეიკავოთ შეძენისგან.

✓ **ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განცხადებები — რას უნდა მიაქციოთ ყურადღება**

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ისეთი განცხადებების მიმართ, რომლებიც ამტკიცებს ან მიანიშნებს, რომ პროდუქტი:

- კურნავს დაავადებას;
- ცვლის მედიკამენტს;
- უზრუნველყოფს „სასწაულებრივ“ შედეგს.

სასურსათო დანამატის ეტიკეტირება, რეკლამა ან ონლაინ აღწერა:

- არ უნდა მიუთითებდეს ადამიანის დაავადებების პროფილაქტიკის, განკურნების ან სამკურნალო თვისებების შესახებ ან მიანიშნებდეს ასეთ თვისებებზე;
- არ უნდა ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ პროდუქტი მედიკამენტია;
- არ უნდა შეიცავდეს შეცდომაში შემყვან ან დაუდასტურებელ განცხადებებს.

სიფრთხილით შეაფასეთ შემდეგი ტიპის განცხადებები:

- „კურნავს დიაბეტს“
- „100%-ით აძლიერებს იმუნიტეტს“
- „მკურნალობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს“
- „გარანტირებული წონის კლება“
- „ექიმის გარეშე მკურნალობა“
- „სასწაული ეფექტი“

ასეთმა დაპირებებმა შესაძლოა მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს.

✓ **გადაამოწმეთ ეტიკეტი**

ეტიკეტზე სავალდებულოა მითითებული იყოს:

- „სურსათის დანამატი“;
- ინგრედიენტები;
- რეკომენდებული სადღეღამისო დოზა;
- გაფრთხილება დოზის გადაჭარბების შესახებ;
- მითითება, რომ პროდუქტი არ ცვლის მრავალფეროვან კვებას;
- გაფრთხილება ბავშვებისთვის მიუწვდომლად შენახვის შესახებ;
- მწარმოებლის ან იმპორტიორის მონაცემები;
- შენახვის პირობები;
- ვარგისიანობის ვადა.

ინფორმაცია უნდა იყოს მკაფიო, ადვილად წასაკითხი და ქართულ ენაზე წარმოდგენილი.

ონლაინ პლატფორმაზე განთავსებული სურსათის (სასურსათო) დანამატი უნდა აკმაყოფილებდეს უვნებლობის, ეტიკეტირების და მომხმარებლის ინფორმირების მოთხოვნებს!

✓ **ფრთხილად იყავით უცხოურ ონლაინ პლატფორმებზე**

უცხოური ონლაინ მაღაზიებიდან გამოწერილი პროდუქტი შესაძლოა:

- არ აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს;
- არ ჰქონდეს ქართული ეტიკეტი;
- შეიცავდეს საქართველოში დაუშვებელ ნივთიერებებს;
- იყოს ფალსიფიცირებული ან ვადაგასული.

ასეთ შემთხვევაში, მომხმარებლის უფლებების დაცვა და პროდუქტის კონტროლი მნიშვნელოვნად რთულდება.

პრაქტიკული რეკომენდაციები მომხმარებლისთვის

✔ ნუ შეიძენთ პროდუქტს მხოლოდ სოციალური ქსელის რეკლამის საფუძველზე;

✔ გადაამოწმეთ პროდუქტი სააგენტოს რეესტრში;

✔ მოერიდეთ „სასწაულ ეფექტებზე“ აგებულ რეკლამას;

✔ არ გადააჭარბოთ რეკომენდებულ დოზას;

✔ ქრონიკული დაავადების, ორსულობის ან მედიკამენტების მიღების შემთხვევაში გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან;

✔ ონლაინ შეძენისას დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

☎ ცხელი ხაზი: 1501
✉ ელფოსტა: info@nfa.gov.ge

იზრუნეთ უსაფრთხო და ინფორმირებულ არჩევანზე

ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება და პასუხისმგებლიანი არჩევანი მნიშვნელოვანია
თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისათვის!

გისურვებთ ჯანმრთელობას და უსაფრთხო არჩევანს!